# მომავალი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 100 ჰარასკევი, 25 დეკემბერი 1909 წ. № 100

გაზეთი „მ ო მ ა ვ ა ლ ი“ ღირს როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ე რ თ ი წ ლ ი თ 7 მან. ნახევარი წლით 4 მან. თვიურათ: თფილისში 80 კაპ. თფილისს გარეთ 90 კ. სამი თვით თფილისში 2 მ. 20 კ., თფილისს გარეთ 2 მ. 50 კაპ. საზღვარ გარეთ—ორჯერ მეტი იმაზე, რამდენიც თფილისში ღირს.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ე ს ფ ა ს ი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით—15 კაპ. უკანასკნელ—ზე 10 კაპ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე 3 მან. 4 საათის შემდეგ—მეტი. გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველი რიცხვიდან.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპოდენციები არ ინახება და მათ შესახებ რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს. ერთი თვით ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. ადრესის გამოცვლა თფილისიდან თფილისს გარეთ ღირს 80 კაპ. სხვაგან—40 კაპ. ცალკე ნომერი ღირს ყველგან ე რ თ ი შ ა უ რ ი. რედაქციის ადრესი: თფილისი, რუსის ქუჩა № 3.



ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ცალკე ნომერი ერთი შაური

„მ ო მ ა ვ ა ლ ი“

ცალკე ნომერი ერთი შაური

## მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის.

**გ ა ზ ე თ ი ღ ი რ ს:**

თფილისსა და თფილისს გარეთ: ერთი წლით 7 მანეთი, ნახევარი წლით 4 მან., საზღვარგარეთ: ერთი წლით 14 მან., ნახევარი წლით 7 მან. სამი თვით: თფილისში 2 მ. 20 კ., თფილისს გარეთ 2 მ. 50 კ., ერთი თვით: თფილისში 80 კაპ., თფილისს გარეთ 90 კაპ.

**ხ ე ლ ი ს მ ო წ ე რ ა მ ი ი ღ ე ბ ა:**

თფილისში „მომავალი“-ს კანტორაში, ბათუმში, სამტრედიაში და ჭიათურაში რკინის გზის შკაფებში, ქუთაისში ის. კვიცარიძესთან, ჩოხატაურში ს. თავართქილაძესთან—წიგნის მაღაზიაში, ოზურგეთში—მ. თალაკვაძესთან, ხიდისთავში ნ. კობიძესთან, ფოთში ს. ორაგველიძესთან. დანარჩენ ადგილებიდან ფოსტით უნდა გამოგზავნონ ფული რედაქ. კანტორაში.

რადგან ადრესების დამზადება ბევრ დროსა და შრომას მოითხოვს—იმ ხელის მომწერლებმა, რომელთაც მომავალი წლის 1 იანვრიდან სურთ გაზეთის მიღება, აუცილებლათ ამა წლის დეკემბრის გასვლამდე უნდა მოაწერონ ხელი.

რედაქციის ადრესი: რუსის ქ. № 3, ზემო სართული. ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ, тип. «Шрома», Калистрату Конст. Цуладзе.

ვ ი ღ ე ბ

## რემინგტონზე

ყოველნაირ გადასაბეჭდ საქმეებს. საქმეს ვასრულებ სუფთად და იაფ-ფასებში. ადრესი: წყნეთის ქუჩა, № 6, ბინა № 14. მიშა ს—ძე. (7—3)

დ ჭიათურაში კბილის ექიმი

## ე. ტ. ლორის-მელიქოვი

ღებულობს ავათმყოფებს დილის 10—2 საათამდე და ნაშუადღევის 4 საათიდან 8 საათამდე.

ადრესი: გ. გაჩეჩილაძის სახლი, ვოგზლის ახლო.

კბილის ექიმი

## ი. შ. ჭანტურია

იღებს ავათმყოფებს დილით 8—12 ს. საღამოთი 3—7 ს.

კვირა-უქმე დღეს 9—1 საათ. ავჭალის № 71 (კიროჩნი ქუჩის ახლოს).

**კიდევ** გაგრძელდება **4** დღეს ე. ი. **28, 29, 30** და **31** დეკემბერს

## დიდი იაფი ვაჭრობა

# პ. ს. დოროფეევის

მ ა ღ ა ზ ი ა შ ი

**სოლოლაკის ქუჩა, გურგენოვის სახლი ტელეფონი № 583**

ოთხი დღის განმავლობაში, ე. ი. 28, 29, 30 და 31 დეკემბერს ყველა ცხრა სპეციალურ განყოფილებებში, რომ საბოლოოთ გავყიდოთ ყველა სასეზონო და დარჩენილი საშობაო ბაზრის საქონელი. დარჩენილი საქონელი გაიყიდება **ძლიან იაფათ**

**კიდევ** ოთხი უკანასკნელი დღე—ე. ი. **28, 29, 30** და **31 დეკემბერს**—

ყველაფერი ძალიან იაფათ.

P. S. ფანჯრებში ყველა განყოფილებებიდან გამოფენილი იქნება საქონელი სიიაფის მაჩვენებელი ფასით.

**სამშაბათს, 29 დეკემბერს**, კრუჟოკის დარბაზში საზოგადოება «განათლება» მართავს

## „ისტორიულ საღამოს“

წარმოდგენილი იქნება შემდეგი სურათები: 1) სემირამიდა დასტირის სომეხთა მეფეს „რაას“; 2) მეფე ალექსი ირჩევს საცოლეს; 3) მეფე ირაკლი II და დედოფალი დარეჯანი მიიღებენ იმერეთის მეფე სოლომონის დესპანებს; 4) სულთანის ჰარ.მხანა; 5) სიმშვენიერის თაყვანისცემა ძველ საბერძნეთში. სხვადასხვა ისტორიული ცეკვა.

დაუკრავს მუსიკა და საზანდარი.

საუკეთესო ისტორიული ტანისამოსისთვის მიეცემათ პირველი და მეორე საჩუქარი.

„საღამოს“ დიასახლისი არის კნ. ვ. ალ. ჭავჭავაძისა (კოჯრის ქუჩა, № 9).

ბილეთები იყიდება 26 დეკემბრიდან თვით „კრუჟოკში“. დასაწყისი საღამოს 9 საათზე.

წარმოდგენა 23. **ქართული თეატრი** აბონიმენტი 11.

**ხუთშაბათს, 31 დეკემბერს** 1909 წ. ქართული დრამატ. საზოგ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ისტორიული პიესა ალ. სუმბათაშვილისა

## ღალატი.

5 მოქმედებათ თარგ. გრ. ყიფშიძისა.

**მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.**

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

**დასაწყისი სწორეთ საღამოს 8 საათზე.**

შემდეგი წარმოდგენა—2 იანვარს.

მორიგი რეჟისორი **კ. მესხი.** რეჟისორის თანაშემწე **ვ. ურუშაძე.**

**დრ. საზოგადოების ადმინისტრაცია.**

ქართული **ავლაბრის თეატრი** წარმოდგენა № 13

**(დირექცია ამო-ხარაზიანი)**

**შაბათს, 26 დეკემბერს 1909** ავლაბრის ქართულ დრამატიულ ხელოვნების ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება:

## ს ა მ შ ო ბ ლ ო

ისტორიული დრამა 5 მოქ. დ. ერისთავისა.

მონაწილეობას მიიღებს ავლაბრის დრამატიულ ხელოვნების მოყვარეთა მთელი დასი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ✦ ადგილების ფასი 10 კ.-დან 80 კ.-მდე.

რეჟისორი **კ. ყიფიანი.** გამგე **თ. ნასიძე**

შაბათს, 26 დეკემბერს

ქვაშვეთის წმ. გ. ეკლესიაში მეორე სახელმწიფო დუმის ყოფილ დეპუტატის

## არჩილ ლევანისძე ჯაფარიძის

გარდაცვალებიდან წლის თავზე გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი, რასაც აუწყებენ ნაცნობ-მეგობრებს განსვენებულის მეუღლე იულია ნიკოლოზის ასული და მშობლები.

პანაშვიდი დაიწყება შუადღის 12 საათზე.

თფილისის სახაზინო თეატრი

საოპერო ამხანაგობა ანტონ ეიხენვალდის გამგეობით

## საშობაო რეპერტუარი

**26** დეკემბრიდან **7** იანვრამდე.

შაბათს, 26 დეკემბერს

დილით: 1) **ჰენზელი** და **გრეტელი**; 2) **კრილოვის იგავ-არაკები**.

საღამოს: „**ჩაროდეიკა**“

კვირას, 27 დეკემბერს

დილით: „**ფაუსტი**“ საღამოს: „**პიკოვაია დამა**“

ორშაბათს, 28 დეკემბერს

1) „**საბალეტო დივერტისმენტი**“; 2) „**მადამ ბატტერფლეი.**“

სამშაბათს, 29 დეკემბერს

ბენეფისი ე. ვ. დე-ვოს, სობოლევასი „**რომეო და ჯულიეტა.**“

ოთხშაბათს, 30 დეკემბერს

„**გამარჯვებული სიყვარულის სიმღერა**».

ხუთშაბათს, 31 დეკემბერს

„**კ ა მ ო რ რ ა**“.

ჰარასკევს, 1 იანვარს 1910 წ.

დილით: **ნერონი**. საღამოს: „**ევგენი ონეგინი**“.

შაბათს, 2 იანვარს

ელენე ოსოვსკაიას საბენეფისოთ 1) „**ბელოსნეჟკა**“ 2) «**კნიაზ იგორ**»

კვირას, 3 იანვარს

დილით: „**მეფის შვილი ივანე**“ საღამოზე: „**ტაისი**“

ორშაბათს, 4 იანვარს

1) „**პაიაცი**“ 2) „**კატორლის სიმღერები**“

ოთხშაბათს, 6 იანვარს

დილით: „**რუსალკა**“ საღამოს: ი. მ. არდის საბენეფისოთ „**კარმენ**“

ს ა ხ ა ლ ხ ო ს ა ხ ლ ი

ორშაბათს, 28 დეკემბერს **მუსიკალური საზოგადოება** სახალხო სახლთან არსებული წარმოადგენს

## „სევილიელ დალაქს“

ოპერა 3 მოქ. მუს. როსსინისა.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: აგასოვისა, ტამარინისა; ბ-ნნი: აგასოვი, კოვალენსკი, კუზაკოვი, ცხომელიძე, იაკოვლევი, დოლინი და სხვა. ხოროს და ორკესტრს დირიჟორობს პ. პ. ფალიაშვილი.

უფროსი რეჟისორი ი. რატიძი. რეჟისორი ვ. კუზაკოვი.

ფასები 5 კ.-დან 80 კ.-მდე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ბილეთები იყიდება კასაში ყოველ დღე 12—2 და 6—8 საათამდე. მზადდება წარმოსადგენათ ოპერები: რუსალკა, ტრავიატა, რიგოლეტო და სხვა.

იანვრის პირველ რიცხვებში გაიმართება საზოგადო კრება. მსურველთ შეუძლიათ ჩაეწერონ სახალხო სახლის კასაში ყოველ დღე. საწევრო ფული 1 მ. წელიწადში. კრების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

(2—1) ადმინისტრატორი თ. დოლიძე.

ს ა ხ ა ლ ხ ო ს ა ხ ლ ი

**კვირას, 27 დეკემბერს** დილის 11 საათზე ექსტერ იენსკის ფსიხოლოგიურ ინსტიტუტის (გერმანიაში) **კ ა ნ ე ვ ს კ ი** წაიკითხავს ლექციას

## ჰიპნოტიზმზე და პირადულ მაგნეტიზმზე.

1) შემოკლებული ისტორიული აღწერა ჰიპნოტიზმზე და ახალი შეხედულება პირადულ მაგნეტიზმზე.
2) უმთავრესი ისტორიული ხანები.
3) იდეის დაბადება პირადულ მაგნეტიზმზე.
4) დიდი მოაზრე—თეოფრასტ პარაცელსი.
5) ახალი ისტორია ჰიპნოტიზმზე.
6) სინათლის გამოსვლა ადამიანის სხეულიდან, გაკვლეული ავსტრიელ მეცნიერისაგან ბარ. რეიხენბახისაგან.

მიწის გავლენა ადამიანის სხეულზე. პირადული მაგნეტიზმი.

განვითარების საშუალება (ფიზიკური და სულიერი).

სხვადასხვა მეთოდები ჰიპნოტიზმის გამოწვევისა.

აზროვნების ძალა.

საიდუმლოება—შეურყეველი ხასიათის განსავითარებლათ.

აზრის გადაცემა შორს მანძილზე.

დასკვნა.

შენიშვნა: პირადულ მაგნეტიზმზე თფილისში კითხულობენ პირველათ.

დასაწყისი 11 საათზე. ✦✦ ფასები: 5 კ.-დან 50 კაპეიკამდე.

ბილეთები იყიდება სახალხო სახლის კასაში ყოველ დღე 12-დან 2 საათამდის და საღამოს 6-დან 8 საათამდის. (2—1)

კბილის ექიმი

## ს. გამაყმაძე

დილით მიიღება ავათმყოფები 11 საათიდან 2 საათამდის. საღამოს 5—7 ვერის დალმართი სახ. 15.

ფ ე რ შ ა ლ ი

## ლეონტი ბარკალაია

დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფთა მიღება შუადღის 3—6 საათამდე.

**ადრესი: გოგოლის ქუჩა № 68.**

„სორაპნის“ ამხ. გამოცემა

**ქართველი და უცხოელი მწერლები**

მიიღება ხელის მოწერა

მეოთხე წიგნზე

## „ბანდებილი“

**ლექსები და მოთხრობები.**

წიგნი ჩვეულებრივი ფორმატის იქნება 225 გვ. და ხელის მომწერლებისთვის ეღირება 25 კაპეიკი კუპონიანა ავტორის სურათით და მოკლე ბიოგრაფიით. ეს გამოცემა გაცილებით გაუმჯობესებული იქნება ყოველის მხრით წინანდელ ჩვენ გამოცემებზე. ხელის მოწერა მიიღება ყველა ჩვენ აგენტებთან პროვინციაში. ხელის მოწერა დაიწყება 15 დეკემბერს და გათავდება 25 იანვარს.

წიგნი ცალკე გასასყიდათ არ გამოვა.

ვისაც სურს პირდაპირ დაბარება, მან უნდა გამოგზანოს ფოსტის მარკები—40 კაპ. წიგნი გამოვა თებერვლის 25 რიცხვებში. (30—9)

ადრესი: **Тифлисъ, Т—во «Сорапанъ».**

იანვრის პირველ რიცხვებში 1910 წ. ქალ. **ბაქოში** გამოვა ქართულ ენაზე ყოველ კვირეული საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „მარცვალი“

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის

გაზეთის ფასი: ერთი წლით 3 მ. 20 კ.

„ „ ნახევარის „ 1 მ. 70 კ.

ცალკე ნომერი . . . . . . 05 კ.

ყოველგვარი წერილები და აგრეთვე ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Баку, типографія Эриванцева, въ редакцію груз. газеты «МАРЦВАЛИ»

რედაქტორ-გამომც. **ვ. გელოვანი.**

# საშობაოთ

ჩვეულებაა იესო ნაზარეველის შობა ერთმანეთს მივულოცოთ.

მას ერთმანეთს ულოცავენ მდიდარი და ღარიბი, დიდი და პატარა, ყველანი თითქოს საერთო მხიარულებითაა ალსავსე. და ეს მეორდება წლითი წლობითი ოცი საუკუნის განმავლობაში.

რაღაც დიადი ისტორიული საიდუმლოება იხატება ამ მოვლენაში. იესო უბრალო ოჯახში იშვა—ქ. ბეთლემში, ურიასტანის ქვეყანაში, იმ ქვეყანაში გაიზარდა და იქადაგა, მარა მისი შობა მსოფლიო მოვლენათ გადაიქცა. იგი პატარა ერის ერთი უბრალო ძე იყო, მარა მთელი ქვეყნის სათაყვანებელი საგანი შეიქნა. რაა ამის მიზეზი? რამ მისცა მას ასეთი ძალა?

მიზეზი მაშინდელი ქვეყნის მდგომარეობაშია და იმ მოძღვრების ხასიათში, რომელსაც იესო ქადაქებდა პალესტინის დაბა-ქალაქებში. ქვეყანა ბოროტების და გარყვნილების მორევში სცურავდა. დიდებული რომის იმპერია, მსოფლიოს მპყრობელი სიმდიდრე-ფუფუნებაში იხრჩობოდა. მის განებივრებულ შვილთა ამა ქვეყნათ აღარ სწამდათ რა, გარდა თავის გულის თქმისა და ვნებათა ღელვისა. სიმართლე და ჭეშმარიტება დასაძრახის საგნათ იყო გამხდარი. რა არის ჭეშმარიტება? გაკვირვებით და თან დამცინავ ღიმილით ამბობდა რომაელი. ჭეშმარიტება ეს ჩვენი პირადი სიამოვნებაა, განცხრომით და კმაყოფილებით ცხოვრებაა—აძლევდა ის თავის თავს პასუხს. და მას შეეძლო კიდეც განცხრომა მოეპოვებია, მარა ამ განცხრომის საფუძველი მრავალ დამორჩილებულ ერთა და ქვეყნებთა გმინვა იყო. დაპყრობილთა გოდება-დამპყრობელთა ხარხარს უერთდებოდა. მფლობელთა გარყვნილება—დამონებულთა სიბეჩავე და უძლურება—საერთოთ გასაშტერებელი შური, მტრობა, სიძულვილი, მაბეზღრობა, მეძვირეობა, გაუტანლობა—აი როგორი იყო მაშინდელი მსოფლიოს სურათი, რომელიც რომის აბსოლიუტურ იმპერატორებს ემორჩილებოდა. შველა არსაიდან სჩანდა. მაღალ საზოგადოების გარყვნილებას დაბალ წოდების უვიცობა და უგნურება აძლევდა ბანს. ქვეყანა გახრწნის გზას ადგა და უფსკრულისაკენ მიექანებოდა.

აი, ამ დროს იშვა იესო. ამ დროს გაისმა მისი მოძღვრების ხმა იერუსალიმის გარშემო... კაცობრიობამ იგი ღვთად აღიარა და ეს ასეც უნდა მომხდარიყო. იმ საერთო უძლურებისა და დავრდომილობის ხანაში, როცა შრომა სათაკილო ხელობათ ითვლებოდა და მშრომელი რაღაც ადამიანზე დაბალ არსებათ. გაბატონებულთათვის კი გარყვნილებას გადაგვარების ბეჭედი დაესვა, ქვეყნის ერთათ-ერთ მხსნელი ზეცა უნდა ყოფილიყო მხოლოდ იქიდან მოვლენილ ზესთა ბუნებრივ ძალას შეეძლო კაცობრიობის გამობრუნება და ახალ გზაზე დაყენება. ასეთი იყო საერთო შეხედულება, ასე ფიქრობდენ და აზროვნობდენ ყველანი, ვისაც ქვეყნის ჭირ-ვარამზე ფიქრი შეეძლო. რომის საუკეთესო შვილნი ამ ახალი ძალის შემწეობით რომის გადახალისებაზე ოცნებობდენ, დაჩაგრული ერები რომისაგან განთავისუფლებას მოელოდენ. მხსნელის მოლოდინი—მესიაზე ოცნება საერთო იყო—მიზანი კი სხვადასხვა. ამ ღვთაებრივ ძალას, რასაკვირველია—ეს მათი საწუთროს საქმე უნდა გაეკეთებია, მათი იდეალები განეხორციელებია.

დიახ, ასეთ პირობებში გაისმა იესო ნაზარეველის ღაღადება იერუსალიმის გარშემო.. და ეს იყო ახალი სიტყვა, ახალი აზრი. ეს იყო სიტყვა კაცთა განკაცების, ადამიანთა გაადამიანების, მათი ღვთაებამდე ამაღლების შესახებ. ადამიანი ღვთაებრივია, „ძე კაცისა—ძედ ღვთისად იწოდების“ ასწავლიდა ქრისტე სიტყვით და ცხოვრებით. სიყვარული და სათნოება აი გზა და ხიდი კაცთა ზეცათ ამყვანელი, უქადაგებდა იგი ზნედაცემულ, ადამიანობის ფეხ-ქვეშ გამთელავ საზოგადოებას. ეს იყო პირველი და უმთავრესი მცნება იესოსი. ქონებრივი კომუნიზმი მოხმარებაში, თანასწორობა-ძმობა ცხოვრებაში და სხვ. ყველა ეს მხოლოდ დასკვნა იყო ამ ძირითად აზრების.

მის მოძღვრებას ყველანი თავისებურათ შეეგებენ. ებრაელნი, ეროვნულ სიამაყის მოტრფიალენი მასში მეფეს ხედავდენ, რომელსაც უნდა აღედგინა ურიასტანი და ის მსოფლიოზე გაებატონებია. მწიგნობარნი და ფარისეველნი მას თავის მეტოქეთ თვლიდენ და დაღუპვას ემუქრებოდენ. რომის მფლობელთათვის ის უნიადაგო ფანტაზორი იყო და ამიტომ უშიშარ-უძლეველი ცეზარებისათვის. იესოს მათთვის სიტყვა არ დაუხარჯავს. მას თავის სამეფო სხვაგან ეგულებოდა. ჩაგრულნი და მაშვრალნი მისგან მძიმე ტვირთის შემსუბუქებას მოელოდენ, მის მაღალ მცნებას ქვეყნის განახლების შესახებ გულში იმარხავდენ და ქრისტეც ამ უკანასკნელთ იწვევდა თავისკენ. მათში ხედავდა ის თავის მოძღვრების. განმახორციელებელ ძალას... მოვედით ჩემდა მაშვრალნო და ტვირთ მძიმენო.. ამბობდა ის.

და აი, ამით დაეცვა საფუძველი მისი მოძღვრების მსოფლიო მნიშვნელობას. არა ურიასტანის აღდგენა, არა რომისთვის ყოფილ ძლიერების შენარჩუნება, არამედ—ახალი საზოგადოების შექმნა, ახალი ურთიერთობის დამყარება კაცთა შორის, რომელიც უნდა განხორციელდეს მაშვრალთა და ჩაგრულთა ხვედრის შემსუბუქებით სიყვარულისა და სათნოების ნიადაგზე. აი, ამ მხრით შეეხო იგი მაშინდელ დაწყლულებულ საზოგადოებას, ამ მხრით გადაჭრა მან ცხოვრების უკულმართობის მწვავე საკითხი. და აი, ამაშია დამარხული საიდუმლოება მისი მოძღვრების მსოფლიო გავლენისა. სოციალური გადაქმნა მშრომელთა საშუალებით—აი ღერძი იესოს სწავლისა.

მარა ამ გადაქმნას საფუძვლათ მხოლოდ ზნეობრივი პრინციპები, ზნეობრივი ქადაგება დაედვა. ამით ამ მცნებებს მსოფლიო გავლენა აქვს მოპოვებული, მარა მათი ცხოვრებაში განხორციელება დღესაც შორს არის.

ცხოვრების დედა-ძარღვი წარმოებაა, ძველი ქვეყანა კი მას უარყოფდა, თაკილობდა. იესომ შრომა გამაკეთილშობილებელ საქმეთ აღიარა, მარა თვით წარმოების სფერას არ შეხებია. ადამიანის ზნეობრივი განსპეტაკება და ქონების სამართლიან განაწილებით თანასწორობის დამყარება აი, გალილეველის სოციალური მოძღვრების შინაარსი. მარა განაწილება წარმოების წესს ემორჩილება და შემდგომ ცხოვრებაშიც იესოს სწავლა წარმოების ახალ ფორმებს შეუგუეს... მან ახალი ძალა მისცა კაცობრიობას, მარა ჟამთა ბრუნვაში მდიდართა ამა ქვეყნისათა იგი თავის ინტერესების სასამსახუროთ აქციეს. „დაემორჩილეთ უფალთა თქვენთა—აი სიყვარულიო, აიტანეთ უდრტვინველათ თქვენი მწარე ხვედრი—ესაა სათნოებაო, იწყეს ქადაგება ნაზარეველის სახელით. მაშვრალთა ამაღლება—მორჩილების ფილოსოფიამ შესცვალა, ძმობა თანასწორობის ქადაგება—უფროსთა წინაშე ქედის მოხრამ.

ამ რიგათ, შობის დღესასწაულს ორგვარი ხასიათი მიეცა. ერთნი მასში მაშვრალთა ქომაგის, მათი თვალის ამხელის დაბადებას დღესასწაულობენ, მეორეთათვის კი, ის ჩაგრულთა თვალის ასახვევი და საიქიოს იმედით სააქაო კეთილდღეობის დამავიწყებელი საშუალებაა. ამიტომ, ამ დღის დღესასწაული მხოლოდ გარეგნულათაა საერთო, არსებითათ იგი ერთობას არ შობს; ამიტომაა, რომ ოცი საუკუნეა მას ვდღესასწაულობთ და სიყვარული დღესაც არ მეფობს, სათნოება დღესაც არ განხორციელებულა კაცთა შორის...

შური და მტრობა, ბოროტება, ძვირსიტყვაობა, ფლიდობა, ანგარება, დიდთა წინაშე მონურათ ქედის მოხრა, დაბალთა ჩაწიხვლა, სულიერი სიმდაბლე, ზნედაცემულობა, გახრწნილება, აი ქვეყნის დამახასიათებელი თვისებები დღესაც. სოციალური უთანასწორობა, მდიდართა მფლანგველობა და მაშვრალთა გოდება, ფუფუნება ერთის მხრით და სიღატაკე მეორეს მხრით—აი, დღევანდელი სოციალური წყობილება. აი, ის უკულმართობა, რომელშიაც ჩაიღრჩო ძველი რომი და რომელიც ახლაც მძიმე ლოდით აწევს კაცობრიობას.

სოციალური გარდაქმნა—ის საკითხი, რომელიც იესოს მოძღვრების მთავარი საკითხია, დღესაც საკითხათ დგას. და სწორეთ ამიტომაა მისი მოძღვრების ეს მხარე საინტერესო... ახალმა ცხოვრებამ სხვა სოციალური თეორიები წარმოშვა, თანამედროვე მეცნიერული შეხედულების შესაფერი, მარა მისი ძარღვი იგივეა: სასიცოცხლო ძალა—მაშვრალთა მარჯვენაა. აი, ამ აზრის მქადაგებელი იშვა დღეს, ეს აზრი ჩამოვიდა ქვეყანათ და ჩვენც ამას ვულოცავთ ჩვენს მკითხველებს.

# დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

24 დეკემბერი.

### სპარსეთი

**თეირანი.** სპარსეთის მთავრობამ უარი უთხრა ინგლისის კაპიტალისტებს ბახტიარში ნავთის ადგილების აქციების გაყიდვაზე.

### ოსმალეთი

**კონსტანტინოპოლი.** რუსეთის მცურავ გამოფენიდან ნიმუშების მიტანა სულთანთან გადასდვეს. გამოფენის წარმომადგენელნი დელმაბახჩეში მიიღო ობერ-კამერგებმა.

### რუსეთი

**კიევი.** ჩერეკასის ქალაქის საბჭომ შუამდგომლობა აღძრა გაიხსნას სათლქო სამმართველო.

**ჩერნიგოვი.** ქალაქის საეჯომ დაადგინა გადიხადოს სამასი მანეთი რომანოვების გვარის სამასი წლის სახსოვრათ ქ. კასტრომაში ძეგლის ასაგებათ.

**ცარიცინი.** ქალაქის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა მიეცეს სამ ნახევარ მილიონი სესხის აღების ნება.

**ტამბოვი.** ექვსი შეიარაღებული უც ნობი თავს დაესხა მოსოვსკის მონასტერს, დასჭრეს ხაზინადარი, წაიღეს სამასი მ. და გაიქცენ.

**კიევი.** დაბა ხაბნოში მოკლეს ურიადნიკი.

**უფა.** სამასი კაცისაგან შემდგარი ბრბო სოფ. სერგეევკის ახლო დაესხა სამ ბაშკირს, რომელთაც სხვადასხვა ნივთები მოეპარათ სასოფლო ბეღლიდან და/ საკივდილოთ სცემეს. ორი მათგანი მოკვდა, ხოლო მესამე საავადმყოფოში გადაზავნეს.

**ჰელსინგფორსი.** ღვთ-მიძინების ეკლესიაში [illegible] დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოოზის ძის სულის მოსახსენებლათ.

**პეტერბურგი.** რკინის გზის საქმეთა დეპარტამენტის თათბირმა დაადგინა დასტოვოს ეხლანდელი ტარიფი მესამე კლასისთვის, ხოლო მეორე და პირველი კლასების ფასებს დაუკლოს.

**მოსკოვი.** დაიხურა ქირურგიული და თერაპევტიული სიეზდი.

**რიგა.** ქარ-ბუქის გამო ტრამვაის და გემების მიმოსვლა შეწყდა. ქალაქში რამდენიმე სახლს სახურავი გადაგლიჯა ქარმა. მოკლულია ორი გამვლელი. ზარალი დიდია.

**ვიატკა.** დღესასწაულების გამო გუბერნატორმა გაანთავისუფლა რამდენიმე ტუსაღი, რომლებიც დატუსაღებულნი იყვნენ სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის.

**პეტერბურგი.** ხარკოვის უნივერსიტეტის პროფესორი ბაგალეი ისევ აირჩიეს ხარკოვის უნივერსიტეტის რექტორათ.

**ხარკოვი.** შავი ჭირით ცხრა ავადმყოფიდან სამი მოკვდა.

### საზღვარ-გარეთ

**ბორდო.** დელაგრანჟის მონოპლანი მთის ძირას ჩამოვარდა. დელაგრანჟი თავით დაეცა ძირს და იქვე მოკვდა.

**პეკინი.** სეჩუენსკის ადმინისტრაციას მისწერა მთავრობამ მიიღოს თავის თავზე ტიბეტში სკოლის საქმის გამგეობა და ზომები მიიღოს ჩინეთის სასწავლებლების დაარსების შესახებ.

**ტოკიო.** მოსალოდნელია აქაურ რუსეთ-იაპონიის საზოგადოების გაფართოება და რეფორმა. რუსეთ-იაპონიის საქმეებთან გასაცნობათ განზრახულია გამოსცენ წიგნები. საზოგადოების ყოფილ თავმჯდომარის განსვენებულ ენომოტას მაგივრათ ასახელებენ მარშალ იამაგატას და მარკიზ კაცურას. ორივე რუსეთთან დაახლოვების მომხრეა.

იაპონიის ელჩი თებერვალში დაბრუნდება პეტერბურგში.

# უკანასკნელი ფოსტა

### სპარსეთი.

**რახიმ-ხანის რაზმთან შეტაკება.** არდებილიდან გასვლის შემდეგ რახიმ-ხანმა თეირანიდან გამოსული ჯარის შესატაკებლათ დაიწყო მზადება. ეფრემმა და

# შობა

ნუ, ნუ მაჩვენებ, გოლგოთავ, შენს თხემს
ამ დღეს დიდებულს!
ნუ, ნუ ამიმღვრევ მიმოგონებით
გულს დაწყლულებულს!
გაიცინე კარ-მიდამოვ, იხარე!
დღეს შობაა! ცხარე ცრემლი იმარე!

* * *

ნურც შენ გიხილავ მკაცრათ აღმართულს
წამების ჯვარო!
მე მსურს დღეს ლხენა, მინდა დარდები
უკუ ვიყარო...
გაიცინე დამაშვრალო, იხარე!
დღეს შობაა! რაც იტანჯე იმარე...

* * *

არ მომაგონო თავი იუდავ!
დღეს დაქვესკნელდი!
ასპიდო გველო, ხვრელს მოსისინევ,
დაცხრი, დანელდი!..
დღეს შობაა, დედავ, ცრემლი იმარე!
შავ მანდილი გაითეთრე, იხარე!

* * *

აღარც შენ, არა! ეკლის გვირგვინო!
არ მომეგონო!
ცვარ სისხლთა წყაროვ, დასაჩხვლეტავათ
შუბლს არ ეკონო!..
ტურფავ, ნუ სტირი გულის სწორსა, იხარე!
დღეს შობაა! ლაწვთა ხოკვა იმარე!..

* * *

არც თქვენ გიგონებთ ფარისეველნო,
დღეს ბედნიერსა...
გულში იმედი ამიციმციმდა
და ჰა, შლის ფრთებსა...
დღეს ითესვის მხსნელი თესლი იხარე!
გულო, ეჭვნი და დარდები იმარე!..

ვ. მალაქიაშვილი.

# საშობაო

დღეს იშვა ის, ვინაც ქვეყნათ
ჰქადაგებდა სიყვარულსა,
ხელს უწვდიდა ამხნევებდა
უმწეო და დაჩაგრულსა.
ვინაც თავის უპოვრობით
მუსრავდა კერპს წარმართულსა,
ძირს უთხრიდა მყვლეფელთა ტახტს
მაშვრალთ ზურგზე აღმართულსა.
ვის წინაღმდეგ უმართლობამ
გოლგოთას აღმართა ჯვარი
და უდიერათ დაანთხია
მის უმანკო სისხლის ღვარი.
ვინც რომ სულაც არ შემდრკალა
აიტანა ტანჯვა ცხადი
და მით ჩვენ მოგვიახლოვა
სანატრელი განთიადი.
დიახ, დღევანდელ დღეს იშვა
ტვირთ მძიმეთა მეგობარი
და ქვეყნისა უკმეხ ქურუმთ
ჩამოუკრა გლოვის ზარი.

დ. თურდოსპირელი.

* * *

ჩაგრულ მხარეს სალამს უძღვნის
მოქათქათე განთიადი
გიხაროდეს!—ეუბნება,
მოგვევლინა დღე დიადი!
დღეს ძე იშვა, ძე სიმართლის,
აწ, მარადის უძლეველი,
ტანჯულ ქვეყნის მოამაგე,
ბოროტების დამთრგუნველი.
და ქვეყანაც ახმაურდა
დიად ხმებით აღგზნებული,
გაუმარჯოს სიმართლის შვილს!—
ამბობს მარად დაჩაგრული.
გაიზრდება ყრმაი იგი
აწ, მარადის უძლეველი,
ტანჯულ ხალხის მოამაგე,
ბოროტ ძალის დამთრგუნველი.

ბ. გელ.

# შობა ღამეს

პატარა ნესტიან ოთახს ნახევრათ ანათებს ოდნავ მბჟუტავი ლამპარი. საფლავისებურ სიჩუმეს მხოლოდ საბრალო დედის გულის დაგა-დუგი და ავათმყოფ შვილის ხშირი სუნთქვა არღვევს.

ორი თვეა, რაც საბრალო თებროს ერთათ-ერთი იმედი, ერთათ-ერთი ნუგეში შვილი სანდრო ავათ გაუხდა და ლოგინიდან არ ამდგარა. ამ დღიდან საბრალო თებროს აღარ გაუხარია. მას დაავიწყდა ყველაფერი, სმა-ჭამა, ძილი და მთელი დღეები საყვარელ შვილს შესცქეროდა მიმქრალ თვალებში. ის იყო მისი ერთათ-ერთი ნუგეში. საბრალო თებრო უკიდურეს მდგომარეობაში ჩავარდა. მას აღარავითარი საშუალება აღარ ქონდა დახმარებოდა მომაკვდავ შვილს და თითონაც შიმშილით არ მომკვდარიყო. თუ რამ გააჩნდა სულისაგან ხორცამდე ყველაფერი გაყიდა, ეხლა აღარაფერი დარჩენოდა გასასყიდი. ავათმყოფისთვის საჭირო იყო წამლები, კარგი საჭმელი, თებროს არც ერთი და არც მეორე არ ქონდა და სასოწარკვეთილებამდე მისული გულ-მოკლული დასცქეროდა საბრალო შვილს.

— დედა მოვკვდი!—დავიწვი! დავიწვი უცბათ დაიკვნესა ავათმყოფმა და დაკონკილი საბანი იქეთ გადააგდო.

თებრო ცოფიანივით წამოიჭრა, გიჟივით დააშტერდა შვილს და საზარლათ ამოიგმინა.

— შვილო, მოგიკვდეს შენი უბედური დედა! რა გიშველო! რა გიყო!

თავზე უიმედოთ ხელი შემოიკრა და გულის გამგმირავი ქვითინი წასკდა.

— დედა! გული მეწვის, ცეცხლი მეკიდება! მიშველე დედა!

— რა გიყო ჩემო უბედურო შვილო რა? რა გიყოს შენმა ძაღლის დასაჭმელმა დედამ რომ არაფერი შემიძლია.

— წყალი! დედა! წყალი!

თებრომ საჩქაროთ მიაწოდა პატარა ლიტრით წყალი, ავათმყოფი ხარბათ დაეწაფა.

თითქოს ცივმა წყალმა გავლენა იქონია. ავათმყოფი დაწყნარდა და თვალები დახუჭა. საცოდავი დედა ლოგინზე დაეყრდნო და ჩაფიქრებით დააშტერდა. საზარელმა ფიქრებმა გაიტაცა.

— დედა! ხვალ შობა არის?—ცოტა ხნის შემდეგ უეცრათ წამოიძახა ავათმყოფმა.

თებრო ფიქრებიდან გამოერკვა.

— კი შვილო, შობა არის მოგიკვდეს დედა!

— მერე ჩვენ გვაქვს რამე ხვალისთვის? ჩვენთვისაც ხომ არის შობა?

თებროს ცრემლები მოადგა თვალებზე, თითქოს ენა დაება და ხმა ვეღარ ამოიღო. შვილის სიტყვებმა მწარეთ გული დაუთუთქა.

ავათმყოფი გაჩუმდა.

თებრო ისევ ფიქრებმა გაიტაცა.

გარეთ სდუღდა სიცოცხლე. ადამიანები სადღესასწაულოთ ემზადებოდენ, ყველა მიეშურებოდა ბაზრისაკენ ეყიდნა ყველაფერი, გაეხარებინა ცოლ-შვილი, გამოეძლო კუჭი და მხიარულათ შეგებებოდა დღესასწაულს.

მთელი ქალაქის უბედურებას და სევდა და ნაღველს მხოლოდ თებროს პატარა ოთახში მოეყარა თავი. გარშემო მაძღარი კმაყოფილი, ადამიანები სადღესასწაულოთ ემზადებოდენ. აქ კი ლუკმა პურის მონატრული ადამიანები შავ ფიქრებს შეებოჭა და უიმედოთ შეჰყურებდენ ცარიელ კედლებს.

სამად-ხანმა იცოდენ რახიმ-ხანის რაზმის სიძლიერე და აჩქარებით არ მოქმედებენ. ხმა გავრცელდა, რომ რახიმ-ხანი ავათ გახდაო. ამ ცნობის მიღების შემდეგ მოწინააღმდეგეებმა განიზრახეს იერიშის მიტანა რახიმ-ხანის რაზმზე. 12 დეკემბერს სოფელ კეჩის მახლობლათ გამოჩნდა სერიმ-ხანის რაზმი, ცოტა დაშორებით გამაგრდა ეფრემის რაზმიც. ასტყდა თოფის სროლა. კარადაღლეებმა ბეიუკ-ხანის (რახიმ-ხანის შვილია) მეთაურობით იერიში მიიტანეს მოწინააღმდეგეზე, რომელმაც უკან დახევა დააპირა. ამ დროს სოფელ კიზიკეჩის მხრიდან გამოჩნდა კარადაღლების მხედრები რახიმ-ხანის ძმისწულის, კერიმ-ხანის წინამძღოლობით. კერიმ-ხანი ეფრემის რაზმისაკენ გაემართა. უკანასკნელმა უკან დაიხია, მაგრამ უცბათ სურათი შეიცვალა. კერიმ-ხანმა, მის მაგიერ,—რომ გაქცეულ მტერს უკან დადევნებოდა, მტერს გვერდი აუხვია და თავის რაზმიანა დაიმალა. სერიმ-ხანის რაზმთან ბრძოლა მაინც გრძელდებოდა. ბეიუკ-ხანის გამარჯვება საეჭვო აღარ იყო. ეფრემი კერიმ-ხანის რაზმის მოძრაობამ დააფიქრა, ეგონა, მახეს მიმზადებენო. მაგრამ როდესაც კარადაღლეების წასვლაში დარწმუნდა, თავისი რაზმით ბეიუკ-ხანის რაზმს დაეცა, რომელიც ორი მხრიდან ცეცხლში გაეხვა და იძულებული შეიქნა უკან დაეხია დიდი ზარალით. რახიმ-ხანი ძალიან შესწუხდა, როდესაც კერიმ-ხანის ღალატი და ბეიუკ-ხანის დამარცხება შეიტყო. „ტფილ. ლისტოკის“ სპარსელი კორესპონდენტის სიტყვით, მან შახსევანებს დახმარება სთხოვა საერთო მტრის წინააღმდეგ, მაგრამ შახსევანებს თავიანთ სოფლებზე ეფრემის თავდასხმის ეშინოდათ და უარი სთქვეს რახიმ-ხანის დახმარებაზე. როგორც გამორკვეულა, კერიმ-ხანის ღალატი გამოუწვევია მის ქიშპობას რახიმ-ხანის შვილთან. მიუხედავათ ამისა, იმედი აქვთ მომავალში ბეიუკ-ხანი რახიმ-ხანის ძალებს ერთათ მოუყრის თავსო.

**ახალი გაზეთი.** „რ. სლ.“-ს თეირანიდან ატყობინებენ, რომ ახლო ხანში მთავრობის ხარჯით გამოვა ახალი გაზეთი „ვაგდ“. გაზეთის რედაქტორათ დანიშნეს ცნობილი სახალხო ორატორი, სოციალისტი კოსპაი.

### საზღვარ-გარეთ.

**ლორდთა პალატა და ტრედ-უნიონები.** ლორდთა პალატამ, როგორც ვიცით, უკანონოთ სცნო მუშათა პარტიის დეპუტატების შესანახავათ ტრედ-უნიონების წევრებს ხარჯი გაეღოთ. ამის გამო მუშათა პარტიის საბჭომ, პარლამენტის მუშათა პარტიის დეპუტატებმა და ტრედ-უნიონების ფედერაციამ დაადგინეს პარლამენტის მომავალ სესიაში შეტანილ იქნას შესაცვლელათ ტრედ-უნიონების წესდება.

**ტრესტების წინააღმდეგ.** ნიუ-იორკიდან „რ. ს.“-ს დეპეშით ატყობინებენ, რომ ტრესტების წინააღმდეგ დიდი მოძრაობა დაიწყო. შესდგა „ნაციონალური ლიგა“, რომელმაც მიზნათ დაისახა ბრძოლა გამოუცხადოს სანოვაგეზე და სხვა საჭირო ნივთებზე ხელოვნურათ გამოწვეულ ფასის აწევას. ლიგაში ურიცხვი წევრები ეწერება, რომ ტრესტებს ომი გამოუცხადონ, რომელნიც ცხოვრებას აძვირებენ.

**უმღვდლოთ წირვა.** საფრანგეთის ქალ. ლე-პიუის მცხოვრებთ ეპისკოპოზმა მღვდლის ნება არ მისცა, რომ შობისათვის წირვა შეესრულებია. ორი მრევლის მცხოვრებნი ერთათ შეიკრიბენ შუაღამისას მივიდენ ეკლესიაში თეთრ ტანისამოსში გამოწყობილნი და „მესა“ (წირვა) თვითონ შეასრულეს. „მესამ“ ისე მწყობრათ ჩაიარა, რომ ხალხმა გადასწყვიტა ყოველ კვირაობით თვითონ შეასრულოს წირვა.

### რუსეთი.

**მუშათა მოძრაობა.** „სავაჭრო-სამრეწველო გაზეთის“ გამოანგარიშებით მიმდინარე წლის ივნისიდან ნოემბრის ბოლომდე 98 შემთხვევა ყოფილა გაფიცვისა, რომელშიაც 20,246 მუშას მიუღია მონაწილეობა. მთელი რიცხვი მუშებისა იმ ქარხნებში, სადაც გაფიცვას ადგილი ქონია, ყოფილა 34,421. ასე რომ, გაფიცვაში მონაწილეობა მიუღია მუშების 53 პროც. გაფიცვის გამო დაკარგულა 136,020 სამუშაო დღე. უფრო ძლიერი გაფიცვა მომხდარა ცენტრალურ სამრეწველო რაიონში.

**„საზოგადოების“ დახურვა.** შინაგან საქმეთა სამინისტრომ აცნობა კოოპერატიულ საზოგადოების „მშრომელთა კავშირის“ თავმჯდომარეს, რომ სამინისტრომ საჭიროთ სცნო საზოგადოების მოქმედების შეწყვეტა. „მშრომელთა კავშირი“ დაარსდა პეტერბურგში 1907 წ. მოკლე ხნის განმავლობაში წევრების რიცხვი 8,000-მდე ავიდა. კავშირს 12 მომხმარებელი სავაჭრო მაღაზია ქონდა გახსნილი ქალაქის სხვა და სხვა ნაწილებში.

**მ. მ. კოვალევსკის საქმე.** პეტერბურგის სადლქო სასამართლომ გაარჩია მ. მ. კოვალევსკის საქმე. მას, როგორც გაზეთ „სტრანას“ რედაქტორს ბრალდებოდა ჯარების შეურაცხყოფა და მთავრობაზე ყალბი ცნობების გავრცელება. სასამართლომ კოვალევსკის 2 თვის ციხე მიუსაჯა.

**7 საზოგადოების დახურვა.** ეკატერინოსლავის საგუბერნიო საკრებულოს დადგენილებით დაიხურა 7 პროფესიონალური საზოგადოება, მათ რიცხვში „ნოქართა საურთიერთო დამხმარებელი საზოგადოება“, რომელიც 15 წელიწადია, რაც არსებობს, აქვს კომერციული სასწავლებელი, 10,000 მან. თანხა, საუკეთესო წიგნთ-საცავი და სხვ..

# ახალი ამბები

**ქალაქის საბჭოს** 28 დეკემბრის სხდომაზე სხვათა შორის ხელ ახლა გაირჩევა საკითხი ხმოსან ნ. ელიავას საბჭოდან გამორიცხვის შესახებ. სხდომაზე გაირჩევა 30 სხვადასხვა საკითხი.

**მიდამო „ვაკე“.** მიდამო „ვაკეს“ მცხოვრებლებმა თხოვნით მიმართეს ქალაქის გამგეობას, რათა ხსენებულ მიდამოზე გაყვანილ იქნეს ცხენის რკინის გზა.

**სომეხ მწერლების და ჟურნალისტების კრება.** 23 დეკემბერს, „ალბიურ—ტარაზის“ რედაქციაში, ტ. ნაზარიანის თაოსნობით შეიკრიბენ სომეხი მწერლები და ჟურნალისტები. კრებამ კამათი იქონია სხვადასხვა კითხვების შესახებ. სხვათა შორის აღძრული იქნა საკითხი სომეხ მწერლების და ჟურნალისტების კლუბის დაარსების შესახებ. ამ კითხვამ დიდი კამათი გამოიწვია. კრებამ ერთხმათ დაადგინა, რომ ამგვარი კლუბის დაარსება აუცილებლათ საჭიროა. არჩეულ იქნა კომისია, რომელსაც მიანდო წესდების შედგენა და ნებართვის აღება. ამორჩეულ იქნენ: ექიმი ბ. ნავარსარდიანი, „მშაკის“ რედაქტორი ალ. ქალანთარი, ო. ცოლოვიანი, ექიმი აღასარიანი და სხ. ამ ახლო ხანში მოხდება კლუბის დამფუძნებელი კრება, სადაც კომისია წაიკითხავს წესდებას და ამოირჩევენ გამგეობას. ძრიელ სასიამოვნო იქნებოდა, რომ ქართველი მწერლები და ჟურნალისტებიც შეუერთდენ ამათ და შეერთებული ძალით დააარსონ კლუბი.

**თავდასხმა და მუშის დაჭრა.** გუშინ დილას, ოლგის ქუჩაზე, ვიღაც უცნობი თავს დაესხა და რევოლვერით დასჭრა სარაჯევის ქარხნის მუშა ი. კაჩაური. დაჭრილი მიხაილოვის საავათმყოფოში წაიყვანეს.

**ხორცის ნიხრი.** ქალაქის სავაჭრო სამეურნეო კომისიამ დაადგინა გადიდეს ხორცის ფასი—11 კ. მაგივრათ 12 კაპ. გირვანქა.

**სამოსწავლო ოლქის მზრუნველს** შუამდგომლობა აღუძრავს სახალხო განათლების სამინისტროს წინაშე, რათა ნოვოროსიაში პირველ-დაწყებითი სკოლების ასაგებათ ქალაქს ხაზინიდან 18,000 მ. დახმარება მიეცეს და 33,000 მ. სესხი.

**დახმარება.** კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას 2,000 მ. დახმარება აღმოუჩინეს კავკასიის საერობო თანხიდან სტატისტიკური საქმეებისათვის.

**ელექტრონით აქიმობა.** ქიათურიდან გვატყობინებენ, რომ შავი-ქვის მრეწველთა საბჭომ დაადგინა ქიათურაში არსებულ საავათმყოფოში შემოიღონ ელექტრონით აქიმობა. ამ საქმისათვის საბჭომ ჯერ-ჯერობით 500 მ. გადასდო.

**შუამდგომლობა.** კავკასიის სამეურნეო საზოგადოებამ შუამდგომლობა აღძრა სამიწათ-მოქმედო დეპარტამენტის დირექტორის წინაშე, რათა მან ნება დართოს ხსენებულ საზოგადოებას თფილისის საბაღოსნო სკოლაში შეგროვილი 1,9443 მ. სკოლის ვალების გასტუმრებას მოხმარდეს.

**„გაზ. კავკაზი“.** 1910 წ. 1 იანვრიდან გამოვა ორი განყოფილებით. ოფიციალური—კვირაში ორჯერ და ჩვეულებრივი ყოველ-დღე.

**შავი-ქვის გასაწმენდი ქარხანა.** ქიათურის შავი ქვის მრეწველებმა შუამდგომლობა აღძრეს შავი-ქვის საბჭოს წინაშე, რათა საბჭომ მარგანეცის გასაწმენდი ქარხანა აავოს თავისს მხრით ქიათურაში, რითაც შავი-ქვის ხარისხი გაუმჯობესდებაო. საბჭომ შუამდგომლობა უარყო, რადგან ეს საკითხი მორიგ საკითხათ არ ითვლება.

**ჯოჯოხეთის მანქანა.** სამოსამართლო პალატაში ამ დღეებში დაიწყეს აპელაციურ წესით განსახილველი საქმე ილია ნადირაძისა, რომელსაც ინჟინერ. ნოვოპაშენის მოკვლა ბრალდებოდა ჯოჯოხეთის მანქანის მიზეზით. ბაქოს საოლქო სასამართლოს მიერ ნადირაძე გამართლებულია.

**ოფიცრის მოკვლა სალდათის მიერ.** მიმდინარე წლის 15 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე, კავკასიის რკინის გზის პირველ ბათალიონის სალდათმა ივ. ტოპჩიევმა თხოვნით მიმართა მორიგ ეფრეიტერს დ. ზემსკოვს, რომ მისთვის ქალაქში წასვლის ნება მიეცა, მაგრამ, რადგან მორიგ პრაპორჩიკმა დილისმა ამაზე უარი სთქვა, ზემსკოვმა მას წასვლის ნება არ დართო. ვ. ტოპჩიევმა ამის შემდეგ ტირილი დაიწყო. რამდენიმე ხნის შემდეგ ტოპჩიევი, მტირალი და გაბრაზებული, რევოლვერით ხელში ბატალიონის კანცელარიაში შევარდა და რევოლ. სროლა დაიწყო, სროლის დროს დაიჭრა და მოკვდა პროპორჩიკი დიმისი. ეს საქმე 21 და 22 დეკემბერს კავკასიის სამხედრო სასამართლომ გაარჩია და ტოპჩიევს დახვრეტა მიუსაჯა.

**ჩხრეკა და გადასახლებულის შეპყრობა.** 23 დეკემბერს პოლიციამ ჩხრეკის დროს სხვადასხვა ადგილებში შეიპყრო 45 უპასპორტო. ამათ შორის შეიპყრეს ადმინისტრატიული წესით გადასახლებული და თფილისში თავის ნებით დაბრუნებული, ქ. ახალციხის მცხოვრები მ. გ. გუნასაძე.

**გამოვიდა „[illegible]“** [illegible] ნომერი შემდეგის შინაარსით: ს. სტეპნიაკის სურათი და ბიოგრაფია.—უცხო ვარსკლავი—ლექ. ბ. გელასი, ახ, ერთხელ... ლექ. ვ. რუხაძისა. სალიტერატურო მიმოხილვა—ივ. გომართელისა, მწუხარება—ლექ. თორდოპირელისა. შავი მიხა—ირეთელისა; ჩემი ტაძარი—ლექ. ვ. მალაქიაშვილისა; ტალღა—ლექ. რ. ლეჩხუმელისა; ფხიზელი მიხა—მოთხ. ნარკანისა; რუსულ ახალ ლიტერატურის ისტორია—კოგანისა, თარგ. ი—სა.

## წერილები სპარსეთიდან

22

**ქალაქი თეირანი**

28 ოქტომბერს კრება აქვთ რევოლიუციონერებს, რომელთა რიცხვი 380-მდეა. კრებამ აირჩია კომისია, რომელმაც უნდა მოაწესრიგოს ამათი ორგანიზაცია და დააარსოს ნაციონალური გვარდია, რომელიც გააფართოვებს თავის ორგანიზაციას და სოფლებ-ქალაქებშიაც მოაწყობენ ამგვარს.

ორგანიზაციის უმთავრესი ხელმძღვანელია ეიდარხანი. ეს ჯარი თითონ ირჩევს აფიცრებს, მეთაურებს და ათისთავებს.

საღამოს დავესწარი კულტურულ-განმანათლებელ საზოგადოების კრებას. მოზრდილი შენობა დაყოფილია ექვს განყოფილებათ. პირველში საზოგადოების მიერ არჩეული გამგეობაა. დანარჩენებში უფასოთ ასწავლიან მსურველთ საღამოობით: გეოგრაფიას, საზოგადო ისტორიას, მათემატიკას, სახალხო უფლებას და სხვა საგნებს ფარსულ-ფრანგულათ. მასწავლებლები და საზოგადოების წევრები აქაური ინტელიგენტ-მოხელენია და საუცხოვო შთაბეჭდილებას ახდენს მათი კამათი მსჯელობა წესდების შემუშავების დროს.

მხოლოდ ერთი დაბრკოლებაა, როგორც აქ, ისე რედაქციაშიაც: სპარსეთის აღმოსავლეთ ნაწილში ფარსული ლიტერატურა-ენაა, ადერბეიჯანში—თათრული. უმთავრესი ძალები რედაქციაში კავკასიიდან ან ადერბეიჯანიდან მოსულნი არიან, ისინი სწერენ თათრულათ, შემდეგ იქვე თარგმნიან ორივე ენის მცოდნენი ფარსულათ და ასაწყობათ აძლევენ სტამბაში, რაც დღიურ გაზეთისთვის საძნელოა. მეორეთ, ამირეჯიბი, რომელიც უმთავრესი მომუშავე რედაქციის, სწერს ფრანგულათ, შემდეგ ითარგმნება ფარსულათ. აქედან შეგიძლიათ

---

„რატომ არის ქვეყანათ ასეთი უსამართლობა? ფიქრობდა თებრო—ერთათ-ერთი იმედი შვილი ხელიდან მეცლება, ვხედავ ჩემს უბედურებას და საშუალე ბა არა მაქვს დავიხსნა. პურის ნატეხი მენატრება, იქ კი ყველაფერი აქვთ, იქ კი საშვალება აქვთ დაიკმაყოფილონ ყოველივე სურვილი. ხვალ მაძღარი ადამიანები მხიარული ღიმილით მიულოცავენ ერთმანეთს ბრწყინვალე დღესასწაულს. მოუსხდებიან მდიდრულათ შეკაზმულ სუფრას და ნაზათ, ტკბილათ შეექცევიან სადილს. მე კი აქ ლუკმა პური მენატრება. მე კი აქ ერთათ-ერთი შვილი მიკვდება. მე კი საშვალება არა მაქვს წამალი ვიყიდო და სიკვდილს გადავარჩინო ერთათ-ერთი შვილი. განა რათ არის ქვეყანათ ასეთი უსამართლობა? განა თვით ღმერთმა დააწესა ასე, რომ ერთნი მხიარულობდენ, სტკბებოდენ ცხოვრებით და მეორენი სიღარიბეში სულს ლევდენ? განა ეს რა სამართალია? გულქვა, შეუბრალებელი არიან ადამიანები: მათ სხვისი ტკივილი არათ უჩანათ. მათ მხოლოდ პირადი სიამოვნება ახსოვთ სხვა არაფერი. სხვისი ტირილი, სხვისი მწუხარება მათთვის არაფერია, ღმერთო! ღმერთო! რათ გაიჩინე ასე ეს ქვეყანა? მწარეთ ამოიკვნესა საბრალო თებრომ და სასოწარკვეთილ თვალებით მომაკვდავ შვილს მიაშტერდა.

გარეთ ზამთრის ცივი ქარი სამგლოვიარო ხმით ზუზუნებდა. კარებზე ვიღამაც მძლავრათ დააკაკუნა. თებრო თოფნაკრავივით ზეზე წამოვარდა და იქვე გაქვავდა: ვერ წარმოედგინა ვინ იქნებოდა ამ დროს. კაკუნი ისევ განმეორდა. თებრო შიშით კარებისაკენ წავიდა და გაჩერდა, მას ვერ გაებედნა კარების გაღება. ისევ მძლავრათ დააკაკუნეს.

— ვინა ხარ? აკანკალებული ხმით შეეკითხა თებრო.

— მე ვარ გაბრიელ, გააღე.

თებროს თავ-ბრუ დაესხა, ერთ წუთს შეჩერდა, ვერ გადაეწყვიტა როგორ მოქცეულიყო. აცახცახებული ხელებით კარები გააღო.

ოთახში შემოვიდა სახლის პატრონი გაბრიელ უდავაძე, ცლაზათო სახის, ჩასუქებული ადამიანი. მისი ჩასისხლიანებული თვალები უცნაურათ ელვარებდენ. შემოსვლისთანავე მან ოთახს თვალები მოავლო და ჩაახველა. თებრო აკანკალებული იდგა მის წინ, როგორც დამნაშავე და ხმა ვერ ამოეღო. მისმა შემოსვლამ თავ-ზარი დასცა.

გაბრიელმა ჩაახველა, რამდენიმე ნაბიჯი გადასდგა და მკვახე ხმით დაიწყო:

— არა, აღარც ნამუსი, აღარც სინდისი და მორიდება. ერთი გამაგებინეთ მე მიგდებთ მასხარათ თუ თქვენ თავს იგდებთ. აგერ სამი თვეა მობრძანდით ჩემ სახლში, დგეხართ ოთახში და იმას კი არ ფიქრობთ, თუ ქირას გადახდა უნდა. თუ თქვენია ეს სახლი, მითხარით და მე გავალ აქედან და თქვენ ბრძანდებოდეთ. თუ ჩემია და ვალდებული ხართ ქირა მაძლიოთ. ადამიანმა, რომ სინდისიერათ მოგეპყრათ, თქვენც უნდა ისინდისოთ. სამი თვე გავიდა აგერ არაფერი მითქვამს და თქვენ ყურსაც არ აქანებთ. მე მეტი მოთმენა აღარ შემიძლია, თუ მაძლევთ ქირას მომეცით ეხლავე, თუ არა და მერე მე ვიცი.

— ბატონო, შედით ჩვენს მდგომარეობაში, შეგვიბრალე. შეხედეთ ჩემს მომაკვდავ შვილს. ორი თვეა ლოგინიდან არ ამდგარა. შიმშილით ვიხოცებით; ხმელი პური გვენატრება. დაგვაცადე ცოტა კიდევ და რამეს გავახერხებთ. გვიქენი მოწყალება, შემიბრალე უბედური დედა. შეემუდარა თებრო.

— შეგიბრალო რომელია! მე რა ვქნა მერე შენი შვილი, რომ ავათ არის. მე ხომ არ გამიხდენია ავათ? ვა, ჩემი ბრალი ხომ არ არის. მე რა ვქნა შენ რომ არაფერი გაქვს. უნდა იშოვნო და მომცე, გაგონილა, რამდენ კაცს არა აქვს ფული, ყველას ჩემს სახლში ხომ ვერ დავაყენებ. მე ბევრი ლაპარაკის თავი არა მაქვს, ან ფული უნდა მომცეთ და ან ოთახი უნდა დამიცალოთ.—ბრაზიანათ წარმოსთქვა გაბრიელმა და წინ და უკან სიარული დაიწყო.

ავათმყოფს გამოეღვიძა, უაზროთ თვალები გაახილა და ისევ ჩქარა დახუჭა.

— ბატონო, შენი ჭირიმე, აგრეც ღმერთი ხვალინდელ დღესასწაულს მშვიდობიანათ გაგითენებს, მოიღე მოწყალება, გვადროვე ცოტა ხანს. სად წავიდე ეხლა ავათმყოფი შვილით, ნუ გაგვაგდებ გარეთ.

— გვადროვე რომელია? განა ცოტა გადროვეთ? ერთი სიტყვით, უკანასკნელია ჩემი სიტყვა: ან ფული უნდა მომცე და ან ოთახი უნდა დამიცალოთ ბევრი ლაპარაკის თავი არ მაქვს.

— ბატონო, ნუ ჩადგები ჩემ ცოდვაში მადროვე ცოტა ხანს. ღვთით იმდენი არ გიჭირთ, რომ ჩემი ორიოდ გროში გეჭირვებოდეთ.

— როგორ თუ არ მიჭირს? განა ცოტა ხარჯები მაქვს? აგერ მარტო ხვალინდელ დღესასწაულისათვის ხუთ თუმნამდე დამიხარჯია —ინდოურები, ქათმები, ბურვაკები და სხვა. ყველა ამაში ფული მიმიცია. თუ სახლის ქირა არ ავიღე საიდან უნდა გავასწორო ამდენი ხარჯები?

სიჩუმე ჩამოვარდა. საბრალო თებროს ხმა ვეღარ ამოეღო. არ იცოდა როგორ და რა რიგათ მოელბო სახლის პატრონის გაქვავებული გული. ის იდგა ერთ ადგილას თავ ჩაღუნული და დამნაშავესავით იატაკს დასცქეროდა. მთელი სხეული უკანკალებდა.

გაბრიელმა რამდენჯერმე გაიარ გამოიარა, თებროს წინ გაჩერდა, სახეზე გესლიანმა ღიმილმა გაუთამაშა და მსუნაგი თვალებით თებროს მიაშტერდა. მხეცურმა გრძნობამ გაიღვიძა მის გულში. ის მიუახლოვდა თებროს:

— თებრო! შენ შეგიძლია ყველაფერი მშვიდობიანათ გაათაო, შენ შეგიძლია სამუდამოთ მოიგო ჩემი გული, რამდენი ხანია გეხვეწები, ვდნები შენის სიყვარულით, მე შენ მომწონხარ, დამნებდი და ოთხი თვის ქირას სულ არ გთხოვ, საზარელი ხმით უთხრა მან და გესლიანი თვალები აათამაშა. თებროს თავზარი დაეცა, კანკალმა აიტანა. ის ყურებს არ უჯერებდა, შიშით ვერ შეეხედნა მისთვის. მას ვერ წარმოედგინა საიდან მოისმა ხმა. შიმშილი, გაჭირვება, მომაკვდავი შვილი და ასეთი უნამუსო წინადადება. ის მხოლოდ მაშინ გამოერკვა, როცა გაბრიელმა ხელები მოხვია. ის ძუ ვეფხვივით გააფთრებული განზე გადახტა, ანგარიშ მიუცემლათ, რაც ძალი და ღონე ქონდა ხელი გაიქნია.

ოთახში გაისმა ტლაშანის ხმა.

— აა, შე წუპაკო, შე საძაგელო! მცემ კიდეც! ჩემ სახლში მცემ! მაშ, დამაცადე! დამაცადე თუ არ გაჩვენო ვინცა ვარ.— საზარლათ დაიღრიალა გაბრიელმა და საჩქაროთ გავარდა გარეთ.

ხმაურობაზე ავათმყოფს გამოეღვიძა.

— დედა! რა ამბავია? რა ყვირილია?

თებრო იქვე შვილის წინ ლოგინზე დაეცა და მწარე ქვითინი წასკდა.

გაიარა რამდენიმე წუთმა. თებრო გულგახეთქილი ელოდა, როგორ შეასრულებდა თვის მუქარას გულქვა სახლის პატრონი. საბრალოს ათასი აზრი უტრიალებდა თავში. წარმოიდგინა, როგორ გააგდებდა ქუჩაში ავადმყოფი შვილით. როგორ გაუყრიდა თავის ბარგს. სად უნდა წასულიყო? ვისთვის უნდა მიემართა? განა შეიბრალებოდა ვინმე? არა, ადამიანები ხომ გულქვა არიან, ფიქრობდა თებრო. სად არის სამართალი? განა მე დამნაშავე ვარ, რომ არაფერი მაქვს? სად არის სამართალი, სად?

ცოტა ხნის შემდეგ ოთახში შემოვიდა ორი პოლიციელი, რომელსაც უკან მოსდევდა გაბრიელი.

— აი, ეს ქალბატონი გახლავთ, აგერ რამდენი ხანია ქირას არ მაძლევს და დღეს მცემა კიდეც. გთხოვთ წაიყვანოთ.

თებროს მიწა გაუსკდა. თავბრუ დაესხა, არ იცოდა რა უნდოდათ მისგან, ან პოლიციაში რათ მიყავდათ.

— აბა, წამოდი ჩქარა—უკმეხათ მიმართა ერთმა პოლიციელმა.

თებრო მუხლებზე დაეცა.

— თქვენი ჭირიმე, თქვენი ღვთის გულისათვის შეიბრალეთ ჩემი მომაკვდავი შვილი, მაპატიეთ, ხომ ხედავთ შვილი მიკვდება, არავინ არის რომ წყალი დაალევინოს.

— ეეჰ! მოგცლია ერთი. შენი შვილი კი არა, ის მოიკითხე, ადე ჩქარა წამოდი— პოლიციელმა ხელი წაატანა და თავზარ დაცემული თებრო წინ გაიგდეს.

„იქნებ იქ შემიბრალონ, უფროსს შევეხვეწები.“ გაიფიქრა თებრომ

— მაშ, რა გეგონა ქალბატონო, შეგარჩენდი გეგონა ჩემს გალახვას?—ნიშნის მოგებით მისძახოდა უკან გაბრიელი.

თებრო მიიყვანეს პოლიციაში და

წარმოიდგინოთ რა ცოტა ძალები და რა პირობებია აქ.

კრებებზე თათრულათ მოლაპარაკეს არ ესმის ფარსული და ითარგმნება სიტყვები, რაც აძნელებს საქმეს. აქ არიან: „ირან ნოვის“ რედაქტორი რასულზადე, ეიდარხანი, იბრაგიმი, რახიმზადე, შალაბეგა, ასლანხანი (მთიული ლექსო ქართველი), ექიმები, საფოსტო და სამინისტროს მოხელენი. მხოლოდ ამ განმანათლებელ დაწესებულებაში არ ღებულობს მონაწილეობას სომხის ინტელიგენცია და ისინი ცალკე მოქმედებენ.

ჩვენის აზრით სწორეთ აქ უნდა დადიოდენ ისინი და ცდილობდენ იმ გათხრილ ორმოს ამოვსებას, რომლის გაღრმავებას ცდილობენ აქაური ხულიგან-პროვოკატორები.

29 ოქტომბერს რამდენიმე დეპუტატი ვინახულე. პატარა სათვალეებიანმა ადერბეიჯანის დეპუტატმა, რომელსაც ევროპაში აქვს სწავლა მიღებული სთქვა: მე სამი წლის წინეთ გაგზავნილი ვიყავი კავკასიაში ს. დ. პარტიასთან მოსალაპარაკებლათ. ამ პარტიის ღვაწლი დიდია ჩვენ მხარეშიო. აქედან წავედით შინაგან საქმეთა მინისტრ სარდარ-ასადთან. ის თავის კაბინეთში ახალ მოტანილ წერილებსა და გაზეთებს ათვალიერებდა. მისი სახის გამომეტყველება, მოკლე ლაპარაკი ამტკიცებს მის საქმიანობას, ხასიათის სიმტკიცეს. მას ევროპაში უცხოვრია და ფრანგულათ ლაპარაკობს. მის შორიახლო ბახტიარების ბელადი ზის და ერთი მოლა. სიტყვა ბახტიარი ნიშნავს „ბედნიერი“, ან მხნე, ახოვანი. უკანასკნელი არამც თუ შეიძლება გამომხატველი იყოს მათი ზნეობა-ღირსების, არამედ გარეგნულ ახოვან-ტანადობისაც, რომელიც აკვირვებს მოგზაურთ იშვიათი მეომრობით*). იმათი რიცხვი იქნება 170.000 ოჯახობა. დასახლებულია თეირანიდან აღმოსავლეთ-სამხრეთით. ამათი მემამულე ერისთავი არის სარდარ-ასადი, რომელმაც გაილაშქრა თეირანზე და აქ მათ დიდი პატივი აქვთ.

ამ ბახტიარების ახლოს დასახლებულია საქართველოდან გადასახლებული ქართველები...

სპარსეთის გვარ-ტომობაზე ჩვენ გვექნება ცალკე წერილები და აქ მეტს არ აღვნიშნავთ. ვიტყვით მხოლოდ, რომ სპარსეთის წვრილი ერები დღემდის განაგრძობენ თავიანთ მეთაურებით ცალკე ყაჩაღურ ცხოვრებას და სპარსეთის მთლიონობას ძირს უთხრიან...

ჩვენ კარგა ხანს მოგვიხდა სარდარ-ასადთან მუსაიფი და ეს პირველი კაცია, რომელიც გამსჭვალულია პატრიოტიზმით და სწორეთ ეს აკლიათ სპარსელებს.

30 ოქტომბერს ერთმა სამღვდელო პირმა გაკვრით უსაყვედურა „ირან-ნოვს“ რედაქციას: ფონოგრაფის განცხადება რათ მოათავსეთ გაზეთში, ეს შარიათის (მუსულმანთა სამღვთო სჯულის) წინაალდეგია!.. და ეს კარგა ახასიათებს აქაურ მოლების გავლენას...

თეირანის ახლოს არის შაქრის დიდი ქარხანა, რომელიც ეკუთვნის აქაურ მდიდარ ფარსს. ქარხანა საუცხოვოთ მოწყობილია მანქანებით, მარა ამ ჟამათ არ მუშაობს და აი, რატომ: როცა ქარხანა გახსნეს, რუსეთ-ინგლისის შაქრის შემოტანა შემცირდა, მეორე ადგილობრივ გაკეთებულს მეტოქეობას ვერ უწევდა გარედან შემოტანილი, ეს კი ნიშნავდა სხვის საქონლის განდევნას სპარსეთის ბაზრიდან და ევროპიელებმა წინადადება მისცეს მექარხნეს დაეკეტა ქარხანა, რომელიც დიდ მოვლა-დავიდარაბას თხოულობდა და რასაც წმიდა მოგებას ეს ქარხანა მისცემდა, ცოტა ნაკლები უზრუნველათ მიეღო მათგან... როცა ამაზე ყოყმანი დაიწყო მექარხნემ, მაშინ მოიყიდეს ერთი გავლენიანი მოლა მეშედში (წმიდა ალაგია), რომელმაც ამ ქარხანაში გაკეთებული შაქარი არამათ (უსუფთაო, უწმინდურათ) გამოაცხადა და შაქარს აღარ ყიდულობდენ...

ამნაირათ, მექარხნე იძულებული შეიქნა ქარხანა დაეკეტა და რამდენიმე ასი თუმანი უშრომოთ ჩაეწყო ჯიბეში და რამდენიმე ასი მუშა ულუკმა-პუროთ დარჩა. შემდეგ ამ ქარხნის მიერ დამუშავებული რამდენიმე ათასი ყუთი შაქარი ნახევარ ფასათ იყიდეს ბელგიელმა ვაჭარებმა და მომეტებულ ფასში გაყიდეს!.. ასეთ დაბეჩავებულ მონა-ფანატიკ ხალხში რა ბოროტ-მოქმედება-საზიზღროება ხდება ვინ იცის, და ამ მონობას, მის ხანგრძლივობას ხელს უწყობს გარეშე ქვეყნის ბურჟუაზია! თუ ის თავის სახლში „რევოლიუციონერია“, აქ, სპარსეთში—რეაქციონერი და კულტურის წინაალმდეგია...

ეს წინაალმდეგობა სპარსეთის რევოლიუციამ ნათლათ დაგვანახვა და ბევრი თავსატეხი, ჩვენთვის მიუწდომელი თეორეტიულ კითხვებში გაგვირკვია...

**გლახა მგელაძე.**

*) მიუხედავათ იმათი მწყემსობრივი გამომეტყველებისა, მათში სჩანან მეომრები და გასაშტერებლათ გვანან იმ ქანდაკებას, რომლებიც გამოხატულია სასანდის ფულებზეო—ამბობს რეკლიუ. ავტ.

---

ბოქაულს წარუდგინეს. ბოქაულმა ახედ დახედა და სიამოვნებით გაიღიმა.

— რა ლამაზია! ნეტავი თქვენ—ჩაილაპარაკა მან და უბნის ზედამხედველს და „გოროდოვოებს“ გადახედა.

თებრო მუხლებზე დაეცა და შეევედრა.

— ბატონო, თქვენ მაინც შემიბრალეთ, მომაკვდავი შვილი სახლში მარტოთ დავსტოვე, მაპატიეთ თქვენი ცოლ-შვილის სადღეგრძელოთ, გამიშვით.

— გაპატიო კი არა ის არ გინდა? წაიყვანეთ და შეაგდეთ კამერაში. მხოლოდ... ფრთხილათ... ეშმაკურათ გაიღიმა მან და თითით დაემუქრა მორიგ ზედამხედველს.

— ურჯულოები, თათრები! სად არის სამართალი, სად? სასოწარკვეთილი ხმით წამოიძახა თებრომ.

— წაიყვანეთ ჩქარა—დაიყვირა ბოქაულმა—ამდენი არა მცალია, საცაა გათენდება კიდეც და ცოლ-შვილი სახლში მიმელის სადღესასწაულოთ.

ის წამოდგა და არხეინათ წავიდა სახლისაკენ.

საბრალო თებრო კინწის კვრით შეაგდეს კამერაში და კარები გამოუკეტეს. გულდამშვიდებული გაბრიელიც სახლში დაბრუნდა, რომ ტკბილათ შეგებებოდა შობის დღესასწაულს.

თებრო ჩამოჯდა ხის ტახტზე და გულ ამოსკვნით ქვითინი დაიწყო. მთელი მისი გრძნობა-გონება მომაკვდავი შვილისკენ იყო მიქცეული. ფიქრობდა და ვერ წარმოედგინა რათ მოექცენ ასე ულმერთოთ. „განა სამართალი აღარსად არ არის? განა სამართალიც, ძალაც-უფლებაც მდიდრის ხელშია? განა ღარიბისათვის აღარაფერი არ არის“ ეკითხებოდა ის თავის თავს და პასუხი არსად იყო. კამერაში ბნელოდა. თებროს მოესმა თითქო ვიღამაც კარები ფრთხილათ გააღო. დააშტერდა, მაგრამ სიბნელეში ვერაფერი გაარჩია, ეჭვი არ იყო, ვიღაც კამერაში შევიდა. თებროს უნდოდა დაეყვირა გაქცეულიყო, მაგრამ სად ვისთან? ამ ფიქრში იყო ის, რომ ვიღამაც მძლავრი ხელები მოხვია და წაიქცია. თებროს შიშისაგან ენა ჩაუვარდა, გული წაუვიდა. კარები ხშირათ იღებოდა, ვიღაც შავი აჩრდილები შედი გამოდიოდენ კამერიდან...

ირაჟრაჟა, როცა ტანისამოს შემოფლეთილი, თმა გაწეწილი თებრო ქუჩაში გამოაგდეს. ის გიჟივით ატრიალებდა თვალებს. ამ ქვეყნის აღარაფერი ესმოდა. ერთი შეჩერდა, აქეთ იქით მოიხედა და ცოფიანივით გაქანდა სახლისკენ.

ავათმყოფს ჯერ კიდევ ეძინა, მას არაფერი გაუგია-რა გადახდა მის საბრალო დედას.

თებრო გიჟივით დააშტერდა შვილს.

— შვილო! ჩემო უბედურო შვილო. შენ აღარ გყავს დედა! ის მოკვდა, ის აღარ არის. გდალატობ ჩემო ერთათ ერთო იმედო, ჩემო ნუგეშო. შენ გამხმარ პირს ველარ გაასველებს დედის ხელით მოწოდებული წყალი. ველარ გაგიგრილებს გახურებულ შუბლს მისი ხელი, მშვიდობით შვილო!

ის წყნარათ დაეწაფა შვილის მხურვალ ტუჩებს.

მან საჩქაროთ მონახა თოკი, გამოაბა იქვე ჭერში, გამოამარყუჟა და საჩქაროთ თავი გაუყარა შიგ...

— დედა! გამიხმა ყელი! მომიტანე წყალი!—გაისმა ოთახში ავათმყოფის კვნესა.

პასუხი მხოლოდ მდუმარე კედლებმა გასცეს. ავათმყოფმა ისევ თვალები მილულა.

...ახლო მახლო სახლებიდან კი მოისმოდა მხიარულ ქალ-ვაჟთა კისკისი... ბრწყინვალე დღესასწაულს ეგებებოდენ.

**ირეთელი.**

---

# მუშათა შორის

**ფოთი.** რკ. გზ. სადგურის მუშები. 1906 წლიდან დაწყებული, რკინის გზაზე საქონლის დალდა-დატვირთვა აიღო მუშების არტელმა (160 კაცი). არტელს შეადგენდენ გურულ-მეგრელები, თათრები და სომხები. პირველად ძალიან მცირე ფასებში ქონდა აღებული, არც გასაკვირვია, რადგანაც დრო იყო მაშინ ასეთი. ამ მდგომარეობას ხელი შეუწყო ზოგიერთმა მუშებმა. დაიწყეს თავიანთი ადგილების გაყიდვა. სამუშაოზე დარჩენილმა მუშებმა დიდი ვაი-ვაგლახის შემდეგ თავიანთი მდგომარეობა მატერიალურათ ოდნავ გაიუმჯობესეს. რკინის გზის მართველობა დაითანხმეს, რომ 1000 ფუთში 4 მ. ეძლია და საყარაულო 700 მანეთი წელიწადში.

ეს, რასაკვირველია, შეშურდათ უმეტესათ ადგილების გამყიდველებს, თავიანთ სიაში ჩასწერეს ზოგიერთები ადგილობრივი უმუშევრები და გუბერნატორის შუამავლობით რკ. გზის მართველობას, დაკლებულ ფასებში სთხოვეს სამუშაო «გითომდა» ადგილობრივ მცხოვრებთათვის; 1000 ფუთი 3 მანეთში და საყარაულოს სულ არ თხოულობენ.

რა საკვირველია ასეთი ხელ-საყრელი თხოვნა რკინის გზის მართველობამ მიიღო. —სამწუხაროდ და სავალალო ის არის, რომ ამ ახალ გამოჩეკილ ჯგუფს ხელმძღვანელობას უწევს 1905 წ. მუშების ინტერესების დამცველი, შტრეიკბეხერების უარ-მყოფელი ბ. აბურჯანია. სირცხვილი მას, ვისაც სწორი გზა დაუგდია და ძმას-ძმაზედ უსისიანებს.

**მეფისტოფელი.**

—

**ბათუმი.** გაზ. „ბატუმსკია ვესტი“-ზე მომუშავე ასოთ-ამწყობების ცხოვრებიდან. იყო დრო, როდესაც ამათ ახალი თაობის კაცებათ მოქონდათ თავი და შეგნებულ მუშების რიცხვში ითვლებოდენ, მაგრამ დადგა დრო და მათ სულ სხვა ჭანგზე დაიწყეს დიდინი. თუ წინეთ ყოველივე საერთო საქმეს ცოტათ თუ ბევრათ აქცევდენ ყურადღებას, ცოტათ თუ ბევრათ ხელს უწყობდენ მუშათა შორის სოლიდარობის გამტკიცებას, დღეს ყოველივე ამას ზურგი აქციეს, დღეს მათი ყურადღება მხოლოდ იქითაა მიქცეული, რომ იმუშაოს ზედ-მეტი, ფულები აიღონ, თავიანთი კუჭი გამოიძღონ და სხვა ყველაფერი ფეხებზე კიდიათ. ყოველივე ის უფლებები, რომელიც ათასნაირი ტანჯვა-წვალებით მოიპოვეს ბათუმელმა ასოთ-ამწყობებმა უკან დაიბრუნეს ბ-ნმა ხაზეინებმა, დღემდე უფლება ეძლეოდა მუშებს თავის ადგილზე ვისაც უნდოდა იმას ამუშავებდა ე. ი. თუ რომელიმე უმუშევარი ამხ. იყო ქალაქში კვირაში თითო დღეს უთმობდენ მომუშავე მუშები და ამით საშუალება ეძლეოდათ უმუშევრებს, რომ ნახევრათ მშიერები მაინც არ დარჩენილიყვნენ, ეს დიდს ნიშნავდა უმუშევრებისთვის. მაგრამ დახეთ უბედურებას! ამას წინეთ ახლად გახაზეინებულებმა ბ-ნმა გ. ჩ—ძემ და გ. ხ—მ გამოუცხადეს მუშებს: თქვენ დღეიდან უფლება გერთმევათ რომ თქვენს ადგილზე ვინმე ამუშაოთ. თუმც რომელიმე თქვენთაგანი ავათ გახდეს ან რამე შემთხვევით წავიდეს სადმე, ვალდებული ხართ ჩვენ გამოგვიცხადოთ და ჩვენ კი ვინც გვინდა იმას ვამუშავებთ ან და თვითონ ჩვენ ვიმუშავებთო; ასეთ წინადადებაზე შეეძლოთ იქ მომუშავე მუშებს რომ არ დათანხმებულიყვნენ, მაგრამ ეს არ ინებეს და პირიქით, თანაგრძნობით შეეგებენ ასეთ წინადადებას, ზემოთ დასახელებულმა ხაზეინებმა აიღეს დასაბეჭდათ გაზ. «ბატ. ვესტი“, შეამცირეს ას.-ამწყობთა შტატი და სამუშაო ნორმას კი მოუმატეს: ამასთან, ისეთ ადგილას, სადაც დახელოვნებული ასოთ-ამწყობები უნდა მუშაობდენ, ამუშავებენ ისეთებს, რომლებიც სულ ერთი წელი თუ წელიწად ნახევარი მუშაობენ სტამბაში და ჯერ კიდევ შეგირდებათ ითვლებიან. სავალდებულოა ამ შეგირდებმაც ამოაწყონ იმდენი, რამდენსაც აწყობენ გამოცდილი ასოთ-ამწყობები და ჯამაგირებს კი 20—25 მანეთამდის დებულობენ. ხშირათ ასწრებს ნორმას და ღამის შვიდ საათამდის მუშაობენ: ბ-ნი გ. ჩ—ძე და გ. ხ—ია ერთი წლის წინათ მუშები იყვნენ და ყოველ ფეხის გადადგმაზე ზიზღით უყურებდენ ასეთ უსამართლობას, მაგრამ დღეს გამოდიან და უარესათ იქცევიან. ვინ უნდა აქცევდეს ასეთ უსამართლობას ყურადღებას? რა თქმა უნდა, ის მუშები, რომლებიც რამოდენიმე წელია მუშაობენ და კარგათ იციან ყველაფერი, მაგრამ უბედურებაც ის არის, რომ ყურადღების მაგიერ სიამოვნებით უყურებენ ასეთ უსამართლობას, თანაგრძნობას უცხადებენ თავ-აშვებულ ხაზეინებს და მით ხელს უწყობენ მათ აღვირ-წახსნილობას.

**ასოთ-ამწყობი სანკანიძე.**

---

## წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! რაკი სხვა საშვალება აღარ დამრჩენია, უმორჩილესათ გთხოვთ თქვენი გაზეთის საშვალებით მომცეთ საშვალება ვაცნობო ჩემს ნათესავებს და ნაცნობ-ამხანაგებს ჩემი უბედურესი მდგომარეობა. 1908 წელს, 16 დეკემბერს გამომგზავნეს ქუთაისის ციხიდან. 29 ივლისს გამანთავისუფლეს, რაც მაშინვე დეპეშით ვაცნობე ახალსენაკში მიხა ნიკოს ძე ადამიას, რომ ეცნობებია ჩემი მამისთვის. ამის შემდეგ გავუგზავნე კიდევ ორი დეპეშა, ორი დაზღვეული წერილი და ორიც ღია იმავე მიხა ადამიას, მაგრამ არავითარი პასუხი არ მომდის. გთხოვ ყველა ნაცნობ-ამხანაგებს ცოცხალი არიან მამაჩემი, მადხაზ საბას ძე ადამია და ჩემი და იუსტინე თუ არა? თუ ცოცხალი არიან, მიიღეს თუ არა მიხასაგან დეპეშები და წერილები? თუ მიიღეს რა მიზეზია, რომ ამდენხანს აქ ჩამტოვეს და გზის ფული, რომ არ გსთქვათ, პურის საყიდლათაც, რომ ერთ კაპეიკსაც არ მიგზავნიან? მიხას გარდა ფოთში დეპეშა გავუგზავნე ეფრემ ადამიას ჩიჩუას და კოლია ადამიას გადასაცემათ და თვით ვარაძებულ ივანეს ძე ჩიჩუასაც დაზღვეული წერილი. არავისგან არავითარი პასუხი არ მომდის. შეიძლება ვინმე ნაცნობ-ამხანაგთაგანმა წაიკითხოს ეს წერილი და დამიხსნას უბედურესი გაჭირვებისაგან. სამი თვეა სლაბასკის საავათმყოფოში ვწევარ და მღვდელი ვასილი დუმბაძის მეტი ჩემი პატრონი არავინ აღარ არის. გთხოვ ვარაძებულ ივანეს ძე ჩიჩუას ფოთში გაყიდოს ან დააგიროს ჩემი ნივთები და როგორმე დეპეშით მომაწოდოს ფული. 4—5 თუმნათ თუ გირაოთ არა, გასასყიდლათ სრული იმედი მაქვს კი გაიყიდება. ფულის, ან წერილის გამოგზავნა ამ ადრესით შეიძლება: Слободской, Священнику Думбадзе для Аквсентія Адамія.

სოფ. ეკის, (სენაკის მაზ.) მცხოვრები
**ავქსენტი მადხაზის ძე ადამია.**
ქ. სლაბოდსკოი, ვიატკის გუბერნია.

—

30 სექტემბერს გამოსული ეტაპით თფილისიდან ხუთი სამუდამოთ გადმოსახლებულნი, მოვედით დანიშნულ ადგილს 27 ნოემბერს. ყველანი კარგათ ვართ და ვუძღვნით სალამს ჩვენს მშობლებს, ამხანაგებს და ნათესავებს. ადრესები თვითეულის ვინ სად იქნა დასახლებული: Ермолай Сирбиладзе и Герасимъ Шаламберія—деревня Канарай, Тасѣевской волости, Канскаго уѣзда, Енисейской губерніи; Евгеній Арчвадзе и Георгій Башакидзе—село Бакчетъ Тасѣевской волости Канскаго уѣзда, Енисейской губерніи; Михаилъ Кикнадзе—деревня Хандальская Тасѣевской волости Канскаго уѣзда Енисейской губерніи. გსთხოვთ მშობლებს, ამხანაგებს და ნათესავებს ფული, წერილები, გაზეთები, „პოსილკები“ და სხვ. გამოგვზავნონ ზემო ნაჩვენები ადრესებით.

ამხანაგების მონდობილობით
**ერმალოზი.**

---

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. მელიქ-შახნაზარიანცი

---


**ბ-ნ ნოე სიხარულიძეს.**

რადგანაც ჩემზე სხვადასხვა ხმებსავრცელებთ, რითაც ჩირქს ცხებთ ჩემს პიროვნებას, გიწვევთ სამედიატორო სამართალში. მედიატორეთ ვასახელებ კალენიკე ჯღენტს. პასუხისთვის გაძლევთ ერთი კვირის ვადას.

(1—1) **კირილე დოლიძე.**

# განცხადება

კახეთის მევენახეთა ამხანაგობა

# ხირსა

გაიხსნა ოლგისა და ბელინსკის ქუჩების კუთხეში ტატო გაბაშვილის შენობის სარდაფში.

იყიდება ნამდვილი კახური ღვინო ძლიერ იაფად ბოთლი—15-დან—30 კაპეიკამდე. (0—1)

კბილის ექიმი

## რომანოვი—დვენუაძისა

იღებს ავათმყოფებს 2—6 საათამდის. პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასათ. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში.

ახალი ბინა: ავჭალის ქუჩა № 34.

**ვერის სახალხო აუდიტორია**

**შაბათს, 26 დეკემბერს,** სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იქნება

I

# ბოჭყალები

პიესა 3 მოქმ. პ. ერგიესი.

II

# გაიქუში

კომ. 2 მოქმ. ა. ცაგარლისა.

რეჟისორი: ლეხურელი — ადმინისტრატორი: კოსინკოვი

დასაწყისი საღ. 8 საათზე. — ადგილების ფასი 5 კ.—25 კ-დე.

**წლიწადი 1910 წლისათვის მეოთხე.**

მიიღება ხელის მოწერა

# ყოველ-კვირეულ იუმორისტულ ჟურნალზე




**პირველ იანვრიდან ჟურნალი გამოვა გადიდებულ ზომის და ფერადის კრასკებით დაიბეჭდება.**

ვინც ამ თავიდან გამოიწერს ჟურნალს და მთელი წლის ფასს შემოიტანს ავგისტოს პირველ რიცხვებში ჟურნალთან ერთათ

# პრემიათ გაეგზავნება

# ახალი კრებული

ამ კრებულში მოთავსებული იქნება: ლექსები, მოთხრობები, იუმორისტული ნაწარმოებნი და სხვა. როგორც ორგინალური ისე ნათარგმნი.

**წიგნი 300 გვერდიანი იქნება, მოზრდილი ფორმატის და ეღირება 1 მ.**

მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი ახალგაზდა მწერლები და პოეტები.

ჟურნალის ფასი მთელი წლის **სრულად უნდა აუცილებლათ შემოიტანონ პირველ ივნისამდე.** ვინც ამ დრომდე სრულად ვერ შემოიტანს პრემიას ვერ მიიღებს. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილათ: პირველათ 2 მ. 50 კ. დანარჩენი 2 მ. 50 კ. პირველ ივნისამდე.

1910 წლის 1 იანვრიდან ჟურნალი გამოვა იმავ ფორმატით და იმავ შინაარსით. რედაქცია ეცდება გააუმჯობესოს ჟურნალი. მონაწილეობას მიღებენ: აზიანი, ბლიკვაძე, განჯის-კარელი, ეშმაკი, გოლდემარი, ზომლეთელი, თურდოსპირელი, იასამანი, კენტი, ლეჩხუმელი, მალაქიაშვილი, პიტნა, ტ. რამიშვილი, რუხაძე, რუშაგელი, ტუქსიშვილი, ფონ-ტეფო, ქუჩიშვილი, შხანკოლა და სხვანი.

ჟურნალი წლიურათ ღირს 5 მ. თვიურათ 50 კ. ცალკე ნომერი 10 კ.

**ფულის გამოსაგზავნი ადრესი:** Тифлисъ Типографія Т-ва „Шрома“ асилію Карамановичу Болквадзе.